ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტი

ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი

დამტკიცებული:

სენატის სხდომის ოქმი N11.

თარიღი: 15.09.2023 წ.

დადგენილება 33.

ცვლილება:

სენატის სხდომის ოქმი N2.

თარიღი: 28.01.2025 წ.

დადგენილება N37.

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1.1. „ნეუ - ეროვნული საგანმანათლებლო უნივერსიტეტის“ (შემდგომში „უნივერსიტეტი“) ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების წესი (შემდგომში - „წესი“) ადგენს უნივერსიტეტში საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი პირებისათვის თანამედროვე საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ან მისი ნაწილის წარმართვის წესს, რომელიც არ ითვალისწინებს განსაზღვრულ ადგილზე სტუდენტისა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებასა და საგანმანათლებლო პროცესის ადმინისტრირებაში ჩართული პერსონალის (შემდგომში - „პერსონალი“) ერთდროულად ყოფნას;

1.2. ელექტრონული სწავლება ითვალისწინებს სასწავლო პროცესის სწავლის მართვის სისტემის გამოყენებით წარმართვას. სწავლის მართვის სისტემა არის ინტერნეტზე დამყარებული კომპიუტერული პროგრამა, რომელიც აუცილებელია საინფორმაციო - საკომუნიკაციო ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სასწავლო პროცესის ორგანიზებისა და წარმართვისათვის. კერძოდ, სასწავლო მასალების მიწოდებისათვის სტუდენტის სტუდენტთან ან/და მასწავლებელთან კომუნიკაციისათვის, ტესტირებისათვის, კონსულტირებისათვის, სტუდენტთა პროგრესის მონიტორინგისათვის და სხვა;

1.3. ელექტრონული სწავლება ხორციელდება ასინქრონული ან/და სინქრონული კომუნიკაციის ფორმით. ასინქრონული კომუნიკაცია გულისხმობს ისეთ ინტერაქციას, როდესაც ინფორმაციის გამგზავნი და მიმღები ერთსა და იმავე დროს არ ახდენენ კომუნიკაციას, ხოლო სინქრონული როდესაც მათი კომუნიკაცია ერთსა და იმავე დროს ხორციელდება;

1.4. ელექტრონული სწავლების პროგრამა აგებულია უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამისთვის კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად. მისი დაძლევის შემდეგ პირს ენიჭება შესაბამისი კვალიფიკაცია და გაიცემა ამ კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი;

1.5. ელექტრონული სწავლება უნივერსიტეტში დაიშვება მხოლოდ კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში.

მუხლი 2. ელექტრონულ პლატფორმებზე სასწავლო კომპონენტები

2.1. Facebook - Messenger - ის დახურული ჯგუფები თითოეული სასწავლო კურსისათვის;

2.2. Zoom Video Communications, რომელიც მოიცავს კომუნიკაციის ყველა საშუალებას, კერძოდ ლექცია - სემინარებს, გამოცდებს, კონსულტაციებს, ვიდეოკონფერენციებს, ონლაინშეხვედრებს, ონლაინჩათებს და სხვა;

2.3. Moodle, რომელიც მოიცავს კომუნიკაციის ყველა საშუალებას, კერძოდ ლექცია - სემინარებს, გამოცდებს, კონსულტაციებს, ვიდეოკონფერენციებს, ონლაინშეხვედრებს, ონლაინჩათებს და სხვა.

მუხლი 3. პროცესის დაგეგმვა ელექტრონული სწავლებისათვის

3.1. უნივერსიტეტი საგანმანათლებლო პროგრამების სპეციფიკის გათვალისწინებით განსაზღვრავს ელექტრონული სწავლების ფორმატს და შეიმუშავებს შესაბამის კონცეფციას, რომელიც დასამტკიცებლად წარედგინება სენატს;

3.2. სასწავლო პროცესში ელექტრონული კომპონენტების გამოყენების კოორდინირების მიზნით უნივერსიტეტის რექტორის გადაწყვეტილებით იქმნება ტექნიკური მხარდაჭერისა და მონიტორინგის ჯგუფები.

მუხლი 4. ელექტრონული სწავლების ადმინისტრირების ჯგუფების უფლება - მოვალეობები

4.1. სასწავლო პროცესში ელექტრონული კომპონენტების გამოყენების კოორდინირების მიზნით რექტორი ამტკიცებს ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფსა და მონიტორინგის ჯგუფს;

4.2. ტექნიკური მხარდაჭერის ჯგუფის ფუნქციებია:

ა. სასწავლო პროცესის შეუფერხებლად წარმართვის უზრუნველყოფა სასწავლო ცხრილის მიხედვით;

ბ. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ტექნიკური უზრუნველყოფის კონსულტირება;

გ. ელექტრონული სწავლების ფარგლებში უნივერსიტეტის ადამიანური რესურსის მიერ სასწავლო განრიგის მიხედვით სტუდენტთათვის ონლაინ ლექციის ბმულების, საპრეზენტაციო მასალის, რიდერის სახელმძღვანელოების ელექტრონული ვერსიების და სხვა საჭირო მასალის განთავსება გამოყენებულ პლატფორმაზე, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სტუდენტთათვის ნებისმიერ დროს;

დ. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტებისათვის ტექნიკურ საკითხებში კონსულტაციის გაწევას.

4.3. მონიტორინგის ჯგუფის ფუნქციებია:

ა. ელექტრონული სწავლების პროცესის უწყვეტი გეგმის შემუშავება, რაც გულისხმობს მომდევნო კვირის სასწავლო მასალების არაუგვიანეს მიმდინარე კვირის დასასრულს ატვირთვას;

ბ. ელექტრონული სწავლების განხორციელების მონიტორინგი;

გ. წვდომას მიმდინარე ლექციებზე და სტუდენტთა დასწრების აღრიცხვა;

დ. სტუდენტთა უკუკავშირის შესახებ ინფორმაციის დამუშავება და ა.შ.

მუხლი 5. სტუდენტის უფლებები

5.1. უნივერსიტეტის სტუდენტს უფლება აქვს:

ა. მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;

ბ. მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

გ. შესაბამისი შიდა რეგულაციების საფუძველზე ჩაერთოს უნივერსიტეტის მიერ შეთავაზებულ ელექტრონულ სწავლების პროცესში და ისწავლოს ყველა ის სასწავლო კურსი, რომელიც მიმდინარე სემესტრში სასწავლო განრიგის მიხედვით არის გათვალისწინებული;

დ. გონივრულ ვადაში აცნობოს შესაბამის სამსახურს ელექტრონული სწავლების პროცესში წარმოქმნილი სირთულეების შესახებ.

მუხლი 6. აკადემიური პერსონალის უფლებები და მოვალეობები

6.1. პროფესორს უფლება აქვს:

ა. მიიღოს ინფორმაცია უნივერსიტეტში ელექტრონული სწავლების შესახებ;

ბ. მიიღოს კვალიფიციური კონსულტაცია უფლებამოსილი პირისაგან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ნებისმიერ საკითხზე;

გ. მიიღოს ზუსტი ინფორმაცია კონკრეტულ სასწავლო კურსზე დარეგისტრირებული სტუდენტების შესახებ;

დ. სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით დასაშვებია ელექტრონული კომუნიკაციის დამატებით სხვა ფორმების გამოყენებაც.

6.2. პროფესორის მოვალეობაა:

ა. უნივერსიტეტის შესაბამისი შიდა რეგულაციების გათვალისწინებით ჩაერთოს სწავლების ელექტრონული კომპონენტის (როგორც სინქრონული, ისე ასინქრონული) დანერგვის პროცესში;

ბ. უზრუნველყოს სასწავლო კურსის ელექტრონული სასწავლო მასალების მომზადება;

გ. უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევის მიზნით სტუდენტთა ცოდნის შემოწმება/შეფასება ელექტრონული ფორმით;

დ. სასწავლო გეგმაში კონკრეტული ცვლილებების შემთხვევაში შეატყობინოს საგანმანათლებლო პროგრამის განმავითარებელ ჯგუფს.

მუხლი 7. ელექტრონული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა

7.1. ელექტრონული სწავლების განხორციელებისათვის მნიშვნელოვანია სწავლების ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც მოიცავს შემდეგ მექანიზმებს:

ა. ელექტრონული სწავლების ფორმატში სტუდენტებმა უნდა მიაღწიონ სწავლების იგივე შედეგებს, რაც პროგრამით/სასწავლო კურსებით არის გათვალისწინებული;

ბ. ელექტრონული შეფასებისას დაცული უნდა იყოს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპები;

გ. საჭიროების შემთხვევაში მოხდეს პრაქტიკული მეცადინეობების/გამოცდების ჩაბარების ვადების გაზრდა;

დ. მონიტორინგის ჯგუფის მიერ მოწოდებული სტუდენტთა უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე მოხდეს ელექტრონული სწავლების ხარისხის მექანიზმების მორგება;

ე. შეფასების გასაჩივრების შემთხვევაში ინსტიტუცია უმოკლეს ვადაში განიხილავს სტუდენტის მიერ წარდგენილ საჩივარს და მოქმედებს უნივერსიტეტში არსებული შიდა რეგულაციების თანახმად.

მუხლი 8. გარდამავალი დებულებები

8.1. წინამდებარე დებულებას ამტკიცებს უნივერსიტეტის სენატი;

8.2. უნივერსიტეტის წინამდებარე დებულება მოქმედებს ხელმოწერისთანავე;

8.3. დებულების მიღება, გაუქმება, ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხორციელდება სენატის მიერ;

8.4. წინამდებარე დებულება ძალას კარგავს ახალი დებულების დამტკიცების შემთხვევაში.